



მომსახურების პირობები

1. განმარტებები

1.1 წინამდებარე პირობებში:

“კომპანია” გულისხმობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სქაილოიერს”, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ს/კ: 400243081, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ცოტნე დადიანის ქ., N 34, კორპ. N6, ბ. N4

“კლიენტი” გულისხმობს ნებისმიერი ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რომელიც ეთანხმება წინამდებარე პირობებს და სურს კომპანიის დახმარებით ფრენის კომპენსაციის მიღება.

“ფრენის კომპენსაციის რეგულაცია” გულისხმობს ევროკავშირის No 261 რეგულაციას ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის საერთო წესების დამტკიცების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს მიერ 2004 წლის 11 თებერვალს.

1.2 ზემოთ მოცემული განმარტებები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ კი თავად ეს პირობების რაიმეს სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

2. ხელშეკრულების დადება

2.1 დათანხმების დილაკზე დაჭერით, კლიენტი ეთანხმება წინამდებარე პირობებს და შესაბამისად კომპანიასთან აფორმებს იურიდიული ძალის მქონე ნამდვილ მომსახურების ხელშეკრულებას.

3. მომსახურების ფარგლები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს კომპანიის მიერ კლიენტისთვის მომსახურების გაწევის პირობებს.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების დადებით, კლიენტი კომპანიას ექსკლუზიურად ავალებს მიიღოს და მართოს საჩივარი კომპენსაციის გადახდის მიზნით (აგრეთვე ნებისმიერი სხვა საჩივარი) ნებისმიერი ავიაკომპანიის წინააღმდეგ რომლის მიმართაც კლიენტი უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია ფრენის კომპენსაციის რეგულაციის ან ნებისმიერი სხვა კანონმდებლობის მიხედვით.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების დადებით კლიენტი თანხმობას გამოთქვამს კომპანიას აუნაზღაუროს მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4. მომსახურების საფასური და გადახდის წესი

4.1 მომსახურების საფასური – კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასური შეადგენს ავიაკომპანიისაგან მოპოვებული კომპენსაციის 25%-ს. იმ შემთხვევაში თუ კი კომპანია კლიენტის საკმეს წაიღებს სასამართლოში, მომსახურების საფასური გაიზრდება ავიაკომპანიისაგან





მიღებული კომპენსაციის 50%-მდე. სასამართლო დავის ან ნებისმიერი სხვა მსგავსი პროცესის დაწყებამდე კომპანია კლიენტს მიაწვდის ინფორმაციას შესაძლო შედეგების შესახებ. სასამართლო პროცესის ან სხვა მსგავსი პროცესის დაწყება მოხდება მხოლოდ კლიენტის მიერ თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში.

- 4.2 **მომსახურების საფასურის გადახდის წინაპირობა** – კლიენტი ვალდებულია კომპანიას გადაუხადოს მომსახურების საფასური მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი კომპანია მიაღწევს წარმატებას და მიიღებს შესაბამის კომპენსაციას ავიაკომპანიისაგან.
- 4.3 **გადახდის წესი** – ავიაკომპანიისაგან მოპოვებული ნებისმიერი კომპენსაცია გადაირიცხება კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რაზეც თანხმობას აცხადებს კლიენტი წინამდებარე ხელშეკრულების დადებით. შესაბამისად, კომპანია უფლებამოსილია მოთხოვოს ავიაკომპანიას კუთვნილი კომპენსაციის თანხის გადახდა კომპანიის საბანკო ანგარიშზე. კომპანია უფლებამოსილია გადმორიცხული კომპენსაციის თანხისგან დააკავოს კუთვნილი მომსახურების საფასური და დანარჩენი ოდენობა გადაურიცხოს კლიენტს საბანკო გადარიცხვის გზით. კომპანია კლიენტს კომპენსაციას გადაურიცხავს 3-5 სამუშაო დღეში იმ დღიდან როდესაც ავიაკომპანიის მიერ გადმორიცხული კომპენსაციის თანხა აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე, იმ პირობით, რომ კლიენტს კომპანიისათვის მიწოდებული აქვს საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები. კომპანია პასუხს არ აგებს ნებისმიერ იმ უარყოფით შედეგზე რაც გამოწვეული იქნება კლიენტის მიერ კომპანიისათვის მცდარი/არასრული საბანკო რეკვიზიტების მიწოდებით.
- 4.4 **ავიაკომპანიის მიერ კომპენსაციის გადახდა პირდაპირ კლიენტისთვის** – იმ შემთხვევაში თუ კი ავიაკომპანია კომპენსაციას კლიენტს გადაუხდის პირდაპირ, კლიენტი ვალდებული იქნება თანხის მიღებიდან 5 სამუშაო დღის მანძილზე კომპანიას გადაუხადოს მომსახურების საფასური საბანკო გადარიცხვის გზით, კომპანიის საბანკო ანგარიშზე რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე: www.skylawyer.ge.
- 4.5 **საბანკო ხარჯები** – კომპანია არ არის ვალდებული დაფაროს ნებისმიერი საბანკო ხარჯი რაც დაკავშირებულია კლიენტისთვის თანხის გადარიცხვასთან. იმ შემთხვევაში როდესაც სახეზეა რამდენიმე კლიენტის საერთო ჯავშანი, კომპანია უფლებამოსილია, კლიენტების თანხმობით, თანხა გადარიცხოს ერთ-ერთი კლიენტის საბანკო ანგარიშზე.

5. მომსახურების გაწევა

- 5.1 **ინფორმაციისა და მასალების მიწოდება** – მომსახურების გაწევის მიზნით, კლიენტი ვალდებულია კომპანიას წარუდგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც როგორც წესი მოიცავს (თუმცა არა მხოლოდ): კლიენტის პასპორტის ასლი, ჩასხდომის ბარათის ასლი, ელექტრონული ბილეთის ასლი. კლიენტმა კომპანიას აგრეთვე უნდა მიაწოდოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია რომელსაც გონივრულობის ფარგლებში კომპანია მოითხოვს.
- 5.2 **სრული და სწორი მონაცემები** – კომპანიის მიერ მოთხოვნილი მონაცემები კლიენტის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს სრული და სწორი სახით. იმ შემთხვევაში თუ კი აღნიშნული მონაცემები შეიცვალა ან კლიენტმა აღმოაჩინა რომ ის არასწორია, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს ცვლილება ამ მონაცემებში. აღნიშნული წესი განსაკუთრებულად ეხება კლიენტის მიერ მიწოდებულ რეისის დეტალებს, მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელ-ფოსტის მისამართს და





კომპანიის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერი სხვა მონაცემს. იმ შემთხვევაში თუ კი კლიენტმა კომპანიას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, კომპანია უფლებამოსილი იქნება კლიენტს მოთხოვოს ზიანის ანაზღაურება ამით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისთვის.

5.3 მომსახურების გაწევა – კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე კომპანია სწავლობს საჩივრის შინაარსს და აფასებს მისი წარმატების შანსებს. თუ კომპანია ჩათვლის რომ საჩივარს აქვს წარმატების შანსი, კომპანია დაიწყებს მოლაპარაკებებს ავიაკომპანიასთან და წარადგენს შესაბამის მოთხოვნას კლიენტის სახელით. თუ კომპანია ჩათვლის რომ კლიენტის საჩივარს არ აქვს წარმატების შანსი, კომპანია ამის შესახებ მიაწვდის ინფორმაციას და არ წარადგენს საჩივარს ავიაკომპანიის წინაშე. როდესაც კომპანია გადაწყვეტს რომ არ წარადგინოს კლიენტის საჩივარი, ეს ავტომატურად გამოიწვევს ამ ხელშეკრულების შეწყვეტას და კომპანია აღარ იქნება ვალდებული კლიენტს გაუწიოს მომსახურება ან ანაზღაუროს რაიმე ხარჯი/ზიანი.

5.4 სასამართლო დავა და სამართლებრივი პროცედურები – კლიენტი კომპანიას უფლებას ანიჭებს, კომპანიის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაიწყოს სასამართლო დავა ან სხვა სამართლებრივი პროცედურები ნებისმიერი კომპეტენტურ ორგანოში. იმ შემთხვევაში თუ კი ნებისმიერი სხვა მესამე პირი მოითხოვს კომპანიის წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელ სხვა დოკუმენტს (გარდა ამ ხელშეკრულებისა და მინდობილობისა), კლიენტი ვალდებული იქნება კომპანიას მიაწოდოს აღნიშნული დოკუმენტი შეძლებისდაგვარად მალე, კომპანიის ინსტრუქციის შესაბამისად.

5.4.1 თუ კი საქმის შესწავლის შემდეგ კომპანია ჩათვლის რომ სასამართლო დავის ან სხვა პროცედურების დაწყებას აქვს წარმატების დაბალი შანსი, კომპანია კლიენტს ამის შესახებ შეატყობინებს და კომპანია აღარ გააგრძელებს საჩივრის წარდგენას ან/და სამართლებრივ პროცედურებს და შესაბამისად შეწყვეტს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების მიხედვით.

5.4.2 სასამართლო დავის ან სხვა სამართლებრივი პროცესის დაწყების შემთხვევაში კლიენტს არ ეკისრება პროცესის ხარჯების დაფარვა, იმ შემთხვევაში თუ კი კომპანიამ ვერ მიაღწია წარმატებას. თუ კი კომპანია მიაღწევს წარმატებას და კლიენტი მიიღებს კომპენსაციას, კლიენტი თანახმაა რომ კომპანიის მიერ გაწეული ყველა ხარჯი, რომელიც ანაზღაურდება ავიაკომპანიის მიერ, მიიღოს კომპანიამ სრულად.

5.4.3 კლიენტი ადასტურებს და აღიარებს რომ კომპანიას აქვს სრული თავისუფლება დაეთანხმოს ან უარყოს ნებისმიერი შემოთავაზება საქმეზე მორიგების შესახებ, კლიენტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. წინამდებარე ხელშეკრულება არის საკმარისი იურიდიული საფუძველი რათა კომპანიის ეს უფლება იყოს ნამდვილი და იურიდიული ძალის მქონე. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩამოართვას კომპანიას ეს უფლება.

5.5 გარანტიის არ არსებობა – იმ შემთხვევაშიც კი როდესაც კომპანიის შეფასებით კლიენტის საქმეს აქვს წარმატების შანსი, ეს არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც კომპანიის მიერ გაცემული გარანტია საქმის წარმატებით დასრულების შესახებ. წინამდებარე ხელშეკრულება, აგრეთვე კომპანიის ნებისმიერი განცხადება არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც კომპანიის მიერ გაცემული გარანტია კლიენტის საქმეზე პოზიტიური შედეგის დადგომის შესახებ. კლიენტი აცნობიერებს, რომ კომპანიას არ შეუძლია მსგავსი პირობის/გარანტიის გაცემა და ნებისმიერი





განცხადება კლიენტის საქმის შესაძლო შედეგთან დაკავშირებით არის მხოლოდ კომპანიის მოსაზრება.

- 5.6 **მინდობილობა** – კლიენტმა ხელი უნდა მოაწეროს კომპანიის ვებგვერდზე განთავსებულ მინდობილობის ფორმას რათა კომპანიამ შეძლოს მომსახურების გაწევა. ალტერნატივის სახით, კლიენტი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ამობეჭდილ მინდობილობას და დასკანერებული სახით გაუზიაროს კომპანიას ელფოსტაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება კომპანიამ კლიენტს მოთხოვოს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის წარდგენა. ასეთ შემთხვევის შესახებ კომპანია კლიენტს წიანსწარ შეატყობინებს.
- 5.7 **გადარიცხვის ვალუტა** – კომპანია კლიენტს კომპენსაციას გადაუხდის საბანკო გადარიცხვის გზით, კლიენტის მიერ მოწოდებულ საბანკო ანგარიშზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი გადახდების განხორციელება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კი კლიენტის მიერ მოწოდებული საბანკო ანგარიში ეკუთვნის საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკს, კომპანია კომპენსაციას გადარიცხავს ლარში. იმ შემთხვევაში თუ კი კლიენტის მიერ მოწოდებული საბანკო ანგარიში ეკუთვნის უცხოურ კომერციულ ბანკს, კომპანია კომპენსაციას გადარიცხავს ევროში.
- 5.8 **გაცვლითი კურსი** – ისეთ შემთხვევაში როდესაც კომპანიას უწევს კომპენსაციის გადახდა ლარში, იგი გადარიცხავს შესაბამის ექვივალენტს ლარში, სს „თიბისი ბანკის“ (სკ: 204854595) მიერ, თანხის გადახურდავების დღეს დადგენილი სტანდარტული გაცვლითი კურსის მიხედვით. კომპანია უფლებამოსილია თავად განსაზღვროს როდის გადაახურდავებს თანხას. კომპანია არ ფლობს ექსპერტულ ცოდნას ფინანსებში და არ შეუძლია განახორციელოს ვალუტის კურსთან დაკავშირებულ პროგნოზები, შესაბამისად იგი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე ან დანაკარგზე რაც გამოწვეულია ვალუტის კურსის მერყეობით.

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 6.1 კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და მინდობილობით კომპანიისთვის მინიჭებული უფლებები მოქმედებს მხოლოდ ამ ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევ მომსახურებასთან კავშირში.
- 6.2 მომსახურების გაწევის მიზნით, კომპანია უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები გადასცეს ნებისმიერ სხვა მესამე პირს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე.
- 6.3 კომპანია ვალდებულია კლიენტს მოემსახუროს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, მიიღოს ყველა გონივრული ზომა და გამოიყენოს პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა კლიენტის ინტერესების დასაცავად.
- 6.4 კლიენტი ვალდებულია, გონივრულობის ფარგლებში დახმარება გაუწიოს კომპანიას მომსახურების გაწევის პროცესში.

7. ექსკლუზიურობა

- 7.1 კლიენტი კომპანიას ანიჭებს უფლებას მართოს კლიენტის საჩივარი ექსკლუზიურად.





7.2 მანამდე ვიდრე შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას, დადგენილი წესების მიხედვით, კლიენტი ვალდებულია არ აწარმოოს დამოუკიდებელი მოლაპარაკებები ავიაკომპანიასთან, ნებისმიერი შესაძლო ფორმით, კომპენსაციის მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ კი ავიაკომპანია დამოუკიდებლად დაუკავშირდება კლიენტს, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპანიას ამის შესახებ ელ-ფოსტით და თავი შეიკავოს მსგავსი კომუნიკაციის გაგრძელებისგან ავიაკომპანიასთან. კლიენტი აგრეთვე იღებს ვალდებულებას იმავე საკითხზე არ დადოს მსგავსი მომსახურების ხელშეკრულება ნებისმიერ სხვა კომპანიასთან ან არ დაავალოს სხვა კომპანიას იგივე საჩივრის მართვა, არ განახორციელოს რაიმე სამართლებრივი ქმედება და არ განკარგოს მისი მოთხოვნის უფლებები/საჩივარი.

8. შეწყვეტა

- 8.1 კლიენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მისი დადებიდან 14 დღის მანძილზე, კომპანიის ელფოსტაზე წერილის გაგზავნის გზით რომლითაც კლიენტი გამოხატავს სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და რომელიც მოიცავს მითითებას კლიენტის პასპორტის ნომრისა და რეისის დეტალების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ კი კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის მომენტისთვის კომპანიას უკვე წარდგენილი აქვს საჩივარი ავიაკომპანიის წინაშე, კომპანია უფლებამოსილი იქნება მიიღოს მომსახურების საფასური ავიაკომპანიის მიერ გადახდილი კომპენსაციისგან.
- 8.2 წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება იმ მომენტში როდესაც კომპანია კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ ჩათვლის რომ კლიენტის საქმეს არ აქვს წარმატების შანსი (მიუხედავად იმისა კომპანიამ უკვე დაიწყო თუ არა სასამართლო დავა ან სხვაგვარი სამართლებრივი პროცედურა) და კლიენტს შეატყობინებს ამის შესახებ.
- 8.3 წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება იმ მომენტში როდესაც კომპანია კლიენტს გადაუხდის მოპოვებულ კომპენსაციას.
- 8.4 კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ კი კომპანიას უკვე გაწეული აქვს მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ, ან თუ კომპანიას დაწყებული აქვს სასამართლო დავა ან სხვაგვარი სამართლებრივი პროცედურა, კომპანია უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს ყველა იმ ხარჯის, მომსახურების საფასურის გადახდა რაც კომპანიამ გაწია მომსახურების პროცესში, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ: სასამართლო ხარჯები, მომსახურების ხარჯები, აღსრულების ხარჯები და ა.შ. კლიენტმა აღნიშნული ხარჯები უნდა გადაიხადოს კომპანიის მიერ შესაბამისი ინვოისის გაგზავნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. საბოლოო დებულებები

- 9.1 **მარეგულირებელი სამართალი** - ეს ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე არა-სახელშეკრულებო ვალდებულებები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.2 **იურისდიქცია** - ამ ხელშეკრულებასთან ან მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი, დავა ან სხვა საკითხი გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ.





- 9.3 **ბათილობა** - თუ ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება ძალას დაკარგავს ან აღმოჩნდება ბათილი, ეს არ იმოქმედებს მთლიან ხელშეკრულებაზე და მის სხვა დებულებებზე. მხარეები ყველა ძალას იხმარენ, რათა ძალადაკარგული ან ბათილი დებულებები შეცვალონ იურიდიული ძალის მქონე ისეთი დებულებით, რომლის შინაარსიც მაქსიმალურად მიახლოებულია იმ ნებასთან, რომლის გამოხატვასაც მხარეები ძალადაკარგული ან ბათილი დებულებით ცდილობდნენ.
- 9.4 **ცვლილებები** - კომპანიას უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები ან/და დაადგინოს დამატებითი პირობები, ნებისმიერ დროს, კლიენტისათვის დამატებითი შეტყობინების გარეშე. მიუხედავად ამისა, კომპანია გამოიყენებს ყველა გონივრულ ზომას რათა კლიენტს მუდმივად დროულად შეატყობინოს ასეთი ცვლილებების შესახებ. ნებისმიერი ისეთი ცვლილება რომელიც აუარესებს კლიენტის მდგომარეობას, ძალაში შევა მხოლოდ კლიენტის მიერ მასზე თანხმობის გამოთქმის შემდეგ.
- 9.5 **გადაცემა** - კლიენტს არ აქვს უფლება ამ ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტისგან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები გადასცეს რომელიმე მესამე პირს კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 9.6 **კომუნიკაცია** - ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კლიენტის მიერ კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სათანადო წესით გაგზავნილად თუ კი იგი გაგზავნილია კლიენტის მიერ მითითებული ელ-ფოსტიდან შემდეგ ელფოსტაზე: contact@skylawyer.ge. კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნის მიზნით, კომპანია უფლებამოსილია გამოიყენოს კლიენტის მიერ დაფიქსირებული ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომერი ან სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.

შპს „სქაილოიერის“ საბანკო რეკვიზიტები:

- მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22
- მიმღების ანგარიში: GE14TB7578136020100008
- მიმღების სახელი: შპს სქაილოიერ

